



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2019 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №14 დადგენილებით დამტკიცებულ „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაადგინა:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების“ მეორე მუხლის პირველ პუნქტში (www.matsne.gov.ge 10/04/2018 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.133.016249) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ამტკიცებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე